თიბისი დაზღვევა
TBC INSURANCE

ავტომობილის დაზღვევის პირობები

#K/MO-005/15

ავტომობილის დაზღვევის პირობები მოიცავს დაზღვევის შემდეგ სახეობებს/სექციებს:

A. ავტომობილის ძარის დაზღვევა;

B. მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;

C. მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა.

დაზღვეული სახეობა/სექცია მიეთითება შესაბამის სადაზღვევო პოლისში და მისთვის მოქმედებს ამ პირობებში დაზღვეული სახეობის/სექციის შესაბამისი და საერთო პირობები.

წინამდებარე პირობები ძალაშია სადაზღვევო პოლისთან ერთად. სადაზღვევო პოლისის გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ნაწილი I

რას მოიცავს ავტომობილის დაზღვევა?

A. ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევა

A1. რა არის დაზღვეული?

A1.1 დაზღვეული ავტომობილის, ასევე ქარხნულად დამონტაჟებული დეტალების, მოწყობილობების, აქსესუარების, სარკეების დაზიანება ან განადგურება, გამოწვეული დაზღვეული რისკების დადგომის შედეგად.

A1.2 დაზღვეული რისკები:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია);
- ხანძარი, აფეთქება;
- სტიქიური მოვლენები (მიწისძვრისა და სეტყვის გარდა, თუ პოლისში სხვაგვარად არ არის მითითებული);
- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ვანდალიზმი);
- საგნის დაცემა.

A1.3 დამზღვევის სურვილით, ავტომობილის დაზღვევა შესაძლოა მოხდეს A1.2 პუნქტში ჩამოთვლილი რისკების დადგომის შედეგად:

- **სრულ ზარალზე** – რაც გულისხმობს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას დაზღვეული ავტომობილის მხოლოდ სრული განადგურების/დაკარგვის (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) შემთხვევაში;
  ან
- **სრულ და ნაწილობრივ ზარალზე ერთობლივად** - რაც გულისხმობს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას დაზღვეული ავტომობილის როგორც სრული განადგურების, ისე ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში.

A1.4 სადაზღვევო დაფარვის და ფრანშიზის ტიპი, A1.2 პუნქტისაგან განსხვავებული დაზღვეული რისკების ჩამონათვალი და დამატებითი პირობები თუ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიეთითება სადაზღვევო პოლისში.

A2. რას ავანაზღაურებთ სრული განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში?

A2.1 ავტომობილის საბაზრო ღირებულების შესაბამის თანხას, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მისი ნარჩენი ღირებულების (სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის საბაზრო ფასი, ასეთის არსებობის შემთხვევაში), პოლისში მითითებული ფრანშიზის, სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის უკვე ანაზღაურებულ ითანხებისა და დამზღვევის მიერ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობისას) გამოკლებით;

A2.2 სრული ზარალის/განადგურების შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველს გადასცეს საკუთრების უფლება დაზიანებულ ავტომობილზე იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურების თანხიდან ავტომობილის ნარჩენი ღირებულების გამოკლება არ მოხდება;

A2.3 გადაწყვეტილებას ავტომობილის ნარჩენი ღირებულების სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოკლების თაობაზე, იღებს მზღვეველი და ატყობინებს დამზღვევს, კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის სრულყოფილად შესწავლისა და გარემოებების გონივრულ ვადებში შეფასების შემდეგ;

A2.4 მზღვეველი უფლებამოსილია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება ანაზღაურების ფორმასთან დაკავშირებით:

1) აანაზღაუროს განადგურებული ავტომობილის საბაზრო ღირებულება A.2.1 პუნქტის შესაბამისად, თუ

2) მოსარგებლის სასარგებლოდ თავად შეიძინოს პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში (ფრანშიზის გათვალისწინებით) დაზღვეული ავტომობილის ანალოგიური მარკის, მოდელის და მახასიათებლების მქონე ავტომობილი.

A3. რას ავანაზღაურებთ ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში?

A3.1 ავტომობილის შეკეთების ღირებულებას ფრანშიზის გამოკლებით, სადაზღვევო თანხის ფარგლებში;

A3.2 მზღვეველს უფლება აქვს, სადაზღვევო შემთხვევისას გარანტიაზე არ მყოფი და 3 (სამი) წელზე მეტი ასაკის ავტომობილის დაზიანებული ნაწილების ღირებულება აანაზღაუროს მათი მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებით;

A3.3 მზღვეველი უფლებამოსილია ერთპიროვნულად გადაწყვიტოს, დაზიანებული ავტომობილის შეკეთების ღირებულება გასცეს:

1) უშუალოდ მოსარგებლეზე, თუ

2) ავტომობილის შემკეთებელ სერვის ცენტრზე.

A3.4 თუ დაზღვეული ავტომობილის ასაკი არ აღემატება 3 (სამი) წელს და მასზე ვრცელდება საგარანტიო პერიოდი, შეკეთების ღირებულების განსაზღვრისას მზღვეველი დაეყრდნობა ლიცენზირებული შემკეთებელი ავტოსერვის ცენტრის კალკულაციას, სხვა შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია თავად შეარჩიოს ავტომობილის შემკეთებელი ავტოსერვის ცენტრი და სადაზღვევო ანაზღაურება გასცეს საბაზრო ფასებიდან გამომდინარე;

A3.5 თუ დამზღვევი უარს იტყვის მზღვეველის მიერ შეთავაზებულ ავტოშემკეთებელი სერვის ცენტრის მომსახურებაზე და თავად შეარჩევს ავტოსერვის ცენტრს დაზიანებული ავტომობოილის შესაკეთებლად, ამ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მის მიერ შერჩეული ავტოსერვის ცენტრის მიერ მომზადებული ხარჯთავღრიცხვის ფარგლებში (A3.1 პუნქტში აღნიშნული წესის შესაბამისად) მიუხედავდ იმისა, თუ რა ხარჯთაღრიცხვას წრმოადგენს დამზღვევის მერ შერჩეული ავტოსერვის ცენტრი;

A3.6 თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ზარალის ოდენობაზე, ზარალის შეფასება უნდა მოხდეს დამოუკიდებელი საექსპერტო დაწესებულების მიერ. ასეთი ექსპერტიზის ხარჯები მხარეთა შორის გადანაწილდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

1) ექსპერტიზის დანიშვნის ინიციატორი მხარე გაიღებს ჩასატარებელ ექსპერტიზასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

2) თუ ექსპერტიზის დანიშვნა ხდება ორივე მხარის ინიციატივით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თანაბრად გადანაწილდება მხარეთა შორის.

A4. დამატებითი პირობა ავტომობილის /ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობის შემთხვევაში

A4.1 თუ ავტომობილი დაიკარგა ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობის შედეგად და მზღვეველის მიერ ამ სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებული შსს-ს მიმერ გაცემული ცნობის

მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში დაზღვეულ ავტომობილს იპოვიან, დამზღვევს არ შეუძლია, უარი განაცხადოს მასზე. თუ ამ დროისათვის მზღვეველმა ზარალი აანაზღაურა, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია, დაუბრუნოს მზღვეველს ანაზღაურებული თანხა. დასაბრუნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება მზღვეველის მიერ, ნაპოვნი ავტომობილის ნარჩენი ღირებულების გათვალისწინებით;

A4.2 თუ დაზღვეულ ავტომობილს იპოვიან მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებული შსს-ს მიმერ გაცემული ცნობის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, საკუთრების უფლება აღნიშნულ ავტომობილზე გადადის მზღვეველზე.

A5. ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა

A5.1 მზღვეველის მიერ სრული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი ზარალის ჯამური მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პოლისში მითითებულ ჯამურ სადაზღვევო თანხას;

A5.2 იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში სადაზღვევო თანხა ნაკლებია ავტომობილის საბაზრო ღირებულებაზე, ანუ ხდება არასრული დაზღვევა, სადაზღვევო ანაზღაურების გამოანგარიშებისას გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, რაც გულისხმობს იმას, რომ ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ისეთივე პროპორციით, როგორსაც შეადგენს სადაზღვევო თანხა დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით. ამასთან, ფრანშიზა გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის გამოყენების შემდეგ.

A5.3 სადაზღვევო თანხა მცირდება ყოველი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შემდეგ, ანაზღაურებული თანხის ოდენობით.

A6. დამატებითი მომსახურება

A6.1 დამზღვევს შეუძლია ისარგებლოს გზებზე უფასო ტექნიკური დახმარებით თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის ტერიტორიაზე და მათ შემოგარენში 25კმ რადიუსის მანძილზე, თუმცა ამ მომსახურების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ ერთხელ ყოველი 24 საათის განმავლობაში. დამატებითი მომსახურება მოიცავს:

- ადგილზე საწვავის მიტანას;
- ძირითადი საბურავის სათადარიგოთი ჩანაცვლებას და გაბერვას;
- ავტომობილის დაქოქვას ელექტროხელსაწყოს საშუალებით;
- ავტომობილის უახლოეს ავტოშემკეთებელ პუნქტში გადაყვანას (იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი თავისი სვლით ვერ გადაადგილდება).

A6.2 წინამდებარე დაზღვევის პირობების A1.2 პუნქტში მითითებული რისკების წარმოშობის შემთხვევაში, მზღვეველი აგრეთვე აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან

უსაფრთხო ადგილას ევაკუირებისათვის საჭირო ხარჯებს (მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში), თუ ავტომობილი საკუთარი სვლით ვერ გადაადგილდება. (ეხება მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3.5 ტონას);

A6.3 დამზღვევს შეუძლია ისარგებლოს ზარალის საპატრულო პოლიციის ოქმის წარმოდგენის ვალდებულების გარეშე დარეგულირების მომსახურებით იმ შემთხვევაში, თუ:

1) სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მხოლოდ დაზღვეული ავტომობილის წინა საქარე მინა;
2) სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით.

ამასთან, თუ ზარალის დარეგულირება ხდება პატრულის ოქმის გარეშე, მზღვეველი ანგარიშსწორებას ახორციელებს (ანაზღაურებას გასცემს) დაზიანებული ავტომობილის შემკეთებელ ავტოსერვის ცენტრთან და არა უშუალოდ დამზღვევთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მზღვეველი მიიღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას, რის შესახებაც გაკეთდება სპეციალური ჩანაწერი სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტში.

A7. რას არ ავანაზღაურებთ?

A7.1 ზარალს, რომელიც შედეგად მოჰყვა ავტომანქანის გასაღების და/ან ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობის ავტომობილში დატოვებას, შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღია დატოვებას, გასაღების ნებისმიერი არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას;

A7.2 ზარალს, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებით, ამორტიზაციით, გაუფასურებით, ცვეთით, ჟანგვით, კოროზიით და დაზღვეული რისკების გარდა სხვა მიზეზით გამოწვეული ელეტროსისტემების და ნაწილების მწყობრიდან გამოსვლით;

A7.3 დაზღვეულ ავტომობილში დამონტაჟებული არაქარხნული დეტალების/მოწყობილობების/ აქსესუარების (მათ შორის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის)/სარკეების დაზიანებას ან განადგურებას;

A7.4 დაზღვეული ავტომობილის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის დაკარგვას ან დაზიანებას გამოწვეულს ნებისმიერი მიზეზით;

A7.5 ისეთ ხარჯებს, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;

A7.6 ისეთ სარემონტო ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;

A7.7 ავტომობილის იმ ნაწილების შეკეთების/ჩანაცვლების/აღდგენის ხარჯებს, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე აღენიშნებოდა დაზიანება;

A7.8 ავტომობილის შეკეთების ხარჯებს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მზღვეველი სხვაგვარად არ გადაწყვეტს;

A7.9 ავტომობილის შეკეთების შედეგად მისი საბაზრო ღირებულების შემცირებით გამოწვეულ ზარალს;

A7.10 ავტომობილის დაუდგენელ ვითარებაში დაზიანებას, თუ დამზღვევი ან უფლებამოსილი მძღოლი აღნიშნულის შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ არ დაუკავშირდა მზღვეველს ან თუ ავტომობილი სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან გადააადგილეს მზღვეველის ნებართვის გარეშე;

A7.11 საბურავის დაზიანებას, თუ მასთან ერთად არ მომხდარა ავტომობილის სხვა ნაწილების დაზიანება;

A7.12 ზარალს, რომელიც გამოწვეულია მესამე პირის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ასეთის მცდელობით;

A7.13 დაზღვეული ავტომობილის მესაკუთრის ან მძღოლისთვის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ ნებისმიერ ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის ჯარიმას და ასევე საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯებს;

A7.14 თუ მზღვეველი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, დაზიანებული გზის საფარით გამოწვეულ ავტომობილის სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავების და დისკების დაზიანებას;

A7.15 ამ პირობების საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილ შემთხვევებს.

B. მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

B1. რა არის დაზღვეული?

B1.1 უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი.

B2 რას ავანაზღაურებთ?

B2.1 დაზარალებული პირისათვის გადასახდელ კომპენსაციას, რომელიც დაეკისრა დამზღვევს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით (გარდა დამზღვევის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან/და მის მიერ სარჩელის ცნობისა);

B2.2 სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას, თუ მისი ოდენობა და გარემოებები მზღვეველთან წერილობით იქნება შეთანხმებული და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

B2.3 მზღვეველთან წერილობით შეთანხმებულ სასამართლო თუ სასამართლოს გარეშე ხარჯებს, ასევე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯებს სადაზღვევო თანხის 20%-ის ფარგლებში;

B2.4 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დაზარალებული პირების სიცოცხლის ან/და ქონების გადასარჩენად, ან ზიანის შესამცირებლად გაწეულ მიზანშეწონილ, გონივრულ ხარჯებს.

B3 რამდენს ავანაზღაურებთ?

B3.1 სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის/ანაზღაურების ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხას, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:

B3.1.1 მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში - მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

ა) დოკუმენტურად დადასტურებული ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვის გამო, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევამდე 1 (ერთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;

ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

გ) დოკუმენტურად დადასტურებული ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ, მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდის სახით), მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევამდე 1 (ერთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა.

B3.1.2 მესამე პირისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში:

ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში განადგურებული ქონების საბაზრო ან აღდგენის ღირებულების ოდენობას, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, დარჩენილი დეტალების (რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია) ღირებულების გამოქვითვით;

ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს.

B3.2 იმ შემთხვევაში, თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დადგა დამზღვევის/მოსარგებლის პასუხისმგებლობა რამდენიმე პირის მიმართ და მისი ჯამური ოდენობა აჭარბებს სადაზღვევო თანხას, მოხდება პროპორციული წესით ანაზღაურება შესაბამისი სექციით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

B3.3 ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მიიღებენ როგორც სოლიდარული მოვალეები, თავიანთი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად.

B4. რას არ ავანაზღაურებთ?

B4.1 იმ შემთხვევას, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს: პირს, რომელიც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტომობილს; ან დამზღვევი პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს ან დამზღვევის დაქვემდებარებულს/თანამშრომელს მათ შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე;

B4.2 ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანს, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტომობილით ან დაზღვეულ ავტომობილზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;

B4.3 მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირის წინაშე აღიარებულ პასუხისმგებლობას და გაწეულ ხარჯებს;

B4.4 მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას/გარდაცვალებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;

B4.5 ნებისმიერი ხასიათის მორალურ ზიანს;

B4.6 წმინდა ფინანსურ ზარალს, როდესაც არ იკვეთება მესამე პირის ქონების და ჯანმრთელობის დაზიანება /განადგურება;

B4.7 ნებისმიერი სახის სტიქიური მოვლენით გამოწვეულ სადაზღვევო შემთხვევას;

B4.8 საერთო პირობების გამონაკლისებში ჩამოთვლილ შემთხვევებს.

C. მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან

C1. რა არის დაზღვეული?

C1.1 მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას უფლებამოსილი მძღოლის და/ან მისი მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანებით/გარდაცვალებით.

C2. რას და რამდენს ავანაზღაურებთ?

C2.1 დაზღვევის ამ სექციისათვის/სახეობისათვის პოლისში მითითებული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის და ერთ პირზე ქველიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ხარჯები:

- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯები და საავადმყოფომდე მიყვანის ხარჯები;
- საავადმყოფოში მკურნალობისა და ყოფნის ხარჯები;
- კიდურების/ორგანოების დაკარგვისათვის გათვალისწინებული კომპენსაცია ქვემოთ მოყვანილი საკომპენსაციო ცხრილის მიხედვით, სადაც 100%-ით ანაზღაურება უდრის შესაბამისი ანაზღაურების ქველიმიტს ერთ პირზე (უკვე ანაზღაურებული თანხის გამოქვითვით);
- მხედველობის სრული დაკარგვა ორივე თვალში 100%;
- ორივე მკლავის ან ორივე ხელის მტევნის დაკარგვა 100%;
- ტრავმის შედეგად ორივე ყურში სმენის სრული დაკარგვა 60%;
- ქვედა ყბის მოცილება 100%;
- მეტყველების უნარის დაკარგვა, გამოწვეული ხმის იოგების დაზიანებით 100%;
- ხელისა და ფეხის დაკარგვა 100%;
- ორივე ფეხის დაკარგვა 100%;
- ორივე ხელის დაკარგვა 100%;
- ერთი ხელის დაკარგვა იდაყვის სახსრის ზევით 70%;
- ერთი ხელის დაკარგვა იდაყვის სახსრის ქვემოთ 60%;
- ცერა თითის დაკარგვა 20%;
- საჩვენებელი თითის დაკარგვა 10%;
- ნებისმიერი სხვა თითის დაკარგვა 5%;
- ერთი ფეხის დაკარგვა მუხლს ზევით 60%;
- ერთი ფეხის დაკარგვა მუხლს ქვევით 50%;
- ერთი ტერფის დაკარგვა 40%;
- მხედველობის დაკარგვა ერთ თვალში 30%;

- ერთ თვალში მხედველობის დაკარგვა, თუ მეორე თვალში მხედველობა უბედურ შემთხვევამდე იყო დაკარგული 70%;
- ერთ ყურში სმენის დაკარგვა ტრავმის შედეგად 15%;
- ერთ ყურში სმენის დაკარგვა ტრავმის შედეგად, თუ მეორე ყურში სმენა უბედურ შემთხვევამდე იყო დაკარგული 45%;
- გემოს აღქმის უნარის დაკარგვა 10%;
- ყნოსვის უნარის დაკარგვა 10%;
- ელენთის დაკარგვა 10%;
- ერთი თირკმლის დაკარგვა 20%;

C2.2 რამდენიმე ორგანოს დაზიანების შემთხვევაში, პირველი პროცენტული ანაზღაურების შემდეგ ყოველი შემდგომი დამატებითი პროცენტი გამოითვლება ანაზღაურების ლიმიტის დარჩენილი თანხიდან;

C2.3 დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მის მემკვიდრეებს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად) აუნაზღაურდებათ ერთ პირზე ქველიმიტის 100%, მის მკურნალობაზე უკვე გაწეული ხარჯების გამოკლებით;

C2.4 დაზარალებულის მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ დაკრძალვის ხარჯები;

C2.5 თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაშავდა/გარდაიცვალა ერთზე მეტი პირი, ხოლო ჯამური ზარალი აჭარბებს პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტს, თითოეული მხარე მიიღებს ანაზღაურებას საერთო ზარალში მისი წილის შესაბამისად სადაზღვევო თანხის ფარგლებში;

C2.6 დაზღვევის ამ სექციისათვის/სახეობისათვის ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის ოდენობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას და ქველიმიტს ერთ პირზე.

C3. რას არ ავანაზღაურებთ?

C3.1 თუ მძღოლი ან/და მგზავრები გარდაიცვალნენ ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;

C3.2 საერთო პირობების გამონაკლისებში ჩამოთვლილ შემთხვევებს.

ნაწილი II

საერთო პირობები

ქვემოთ მოცემული პირობები ძალაშია ყველა ზემოთ განსაზღვრული დაზღვევის სექციის/სახეობისათვის (A, B, C).

1. საერთო გამონაკლისები

1.1 წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვევა არ მოქმედებს და დამდგარი ზარალი არ ანაზღაურდება ან/და ანაზღაურების შემთხვევაში უკან დაბრუნებას ექვემდებარება, თუ:

1.1.1. ზარალი გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული დაზიანებით;
1.1.2. ხარჯები გაწეულ იქნა მზღვეველთან შეუთანხმებლად;
1.1.3. დაზღვეულ ავტომობილს მართავდა 21 წლამდე ასაკის ან/და მართვის უფლებამოსილების არმქონე მძღოლი;
1.1.4. სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვია ავტომობილის ან/და მისი ცალკეული ნაწილების/დეტალების გაუმართაობამ ან დაზღვეული ავტომობილი მართვისას გამოუსადეგარ მდგომარეობაში იმყოფებოდა;
1.1.5. სადაზღვევო შემთხვევა მოხდა უფლებამოსილი მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული ავტომანქანის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა თუ სხვა, მესამე პირის მიზეზით/ბრალით);
1.1.6. ავტოტრანსპორტი გამოიყენებოდა ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრთა გადაყვანის/ტვირთის გადაზიდვის მიზნით ან ავტოტრანსპორტი გაქირავებული იყო, თუ ამგვარი გამოყენება წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან და მითითებული სადაზღვევო განაცხადში;
1.1.7. თუ სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოჰყვა ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის, ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას, ასევე, საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვას ან ბუქსირით გადაადგილებას;
1.1.8. ზარალი გამოწვეულია დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის მიერ პარკირების წესების დარღვევის გამო, შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის ან განთავსებისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მზღვეველისათვის წარმოდგნილი იქნება უფლებამოსილი პირების ბრალეულობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;
1.1.9. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მძღოლის მსგავსი მოქმედება განპირობებულია მესამე მხარის სიცოხლისა და ქონების გადარჩენის აუცილებლობით;

1.1.10. ზარალი გამოწვეული იყო თვითმკვლელობის, თვითდასახიჩრების ჩადენისას ან/და ასეთის მცდელობისას;
1.1.11. დაზღვეული ავტომობილი მონაწილეობდა ნებისმიერი სახის რბოლაში ან სისწრაფის გამოცდაში (მათ შორის Off Road);
1.1.12. დაზიანებული/განადგურებული ავტომობილის VIN კოდი არ ემთხვევა დაზღვეული ავტომობილის VIN კოდს;
1.1.13. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სრულად და დროულად არ იყო გადახდილი პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის პირველი ან ერთჯერადი შენატანი;
1.1.14. დამზღვევი/მოსარგებლე/უფლებამოსილი მძღოლი განზრახ გამოიწვევს ან შეეცდება, გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა ან რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, გააყალბოს რაიმე დოკუმენტაცია;
1.1.15. დამზღვევის მიერ სადაზღვევო განაცხადში მითითებული რომელიმე ინფორმაცია არასწორი/არაზუსტი აღმოჩნდება;
1.1.16. დამზღვევი ან მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველისათვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით;
1.1.17. ზარალი წარმოიშვა დაზღვეული ავტომობილის აეროპორტში, აეროდრომზე ან აეროდრომის მინდვრის იმ მონაკვეთზე ყოფნისას, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად და გადასაადგილებლად, მათ სადგომად, მომსახურებისათვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისათვის;
1.1.18. ზარალი წარმოიშვა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
1.1.19. ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების (მათ შორის საწვავის) ტრანსპორტირებით; გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომით; შემოჭრით, სამარი მოქმედებით; სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენებით; აჯანყებით, გაფიცვით ან სამოქალაქო მღელვარებით; ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;
1.1.20. დამზღვევმა ან მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა დაარღვია დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა;
1.1.21. დამზღვევი/მოსარგებლე ან უფლებამოსილი მძღოლი მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
1.1.22. როდესაც დამზღვევი ან მოსარგებლე დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
1.1.23. თუ მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე ავტოტრანსპორტს ადგილიდან დაძრავენ (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მიერ გაცემული მითითებების არსებობის შემთხვევისა);
1.1.24. თუ არსებობდა ორმაგი დაზღვევა, მაგრამ დამზღვევს ამის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია წერილობითი ფორმით არ წარუდგენია;

1.1.25. თუ ზარალი გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რომლის დროსაც მზღვეველს საქართველოს კანონმდებლობა ანიჭებს უფლებას უარი თქვას ზარალის ანაზღაურებაზე.

2. მზღვეველი ვალდებულია:

2.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს დამზღვევს შესაბამისი დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს დამზღვევი შესაბამისი განაცხადის ფორმით.

3. მზღვეველი უფლებამოსილია:

3.1. გააკონტროლოს დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებისა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;

3.2. შესთავაზოს დამზღვევს ახალი ხელშეკრულების დადება შეცვლილი პირობებით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობები ან გაიზარდა რისკი, ხოლო დამზღვევის მხრიდან შეცვლილი პირობების მიღებაზე უარის შემთხვევაში, შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება;

3.3. ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია;

3.4. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;

3.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა იმ სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლებსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის ან შეცვალოს (შეამციროს/გაზარდოს) დამზღვევის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე;

3.6. სრული კონტროლი გაუწიოს დამზღვევის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო, კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურას;

3.7. დაათვალიეროს დაზღვეული დაზიანებული ავტომანქანა და გადაიღოს ფოტოსურათები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;

3.8. შეადგინოს დაზღვეული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგენითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);

3.9. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს დამზღვევის / მოსარგებლის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;

3.10. გადაწყვიტოს, ზარალის ასანაზღაურებელი თანხა გადარიცხოს უშუალოდ მოსარგებლესთან თუ ავტომობილის შემკეთებელ პარტნიორ სერვისცენტრში.

3.11. მოითხოვოს დამზღვევისგან, რომ ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ ავტოტრანსპორტის შეცვლილ ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას - განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობის გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში - ნაპოვნ სატრანსპორტო საშუალებაზე. შესაბამისად, დამზღვევი იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული მიზნის მისაღწევად;

3.12. არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

3.13. არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება ზიანის ოდენობას;

3.14. მოითხოვოს შეცვლილი ნაწილების საკუთრებაში გადაცემა, თუ სადაზღვევო ანაზღაურება სატრანსპორტო საშუალების ნაწილობრივი დაზიანების გამო გასცა, ხოლო სატრანსპორტო საშუალების ნარჩენების გადაცემა, თუ სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის სრული განადგურების გამო გაიცა;

3.15. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის დამზღვევს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამისი დავალიანების თანხა.

4. დამზღვევი ვალდებულია:

4.1. უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ინფორმაციით და დაზღვევის გაფორმებამდე მიაწოდოს მზღვეველს ყველა ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკის შეფასებაზე;

4.2. დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით;

4.3. მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად;

4.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე, დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებსა და მზღვეველს პოლისში მითითებულ ნომერზე;

4.5. მზღვეველის და შსს-ს წარმომადგენლების მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება გაიცემა მზღვეველის (ზეპირი/სატელეფონო) ან შსს-ს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ;

4.6. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

4.7. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და სამართლებრივ პროცედურაბზე, აგრეთვე, ნებისმიერ გაცხადებულ ან პოტენციურ/შესაძლო პრეტენზიაზე;

4.8. მზღვეველს მიაწოდოს ზარალის დარეგულირებისათვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, ასევე მზღვეველის მხრიდან ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის საჭირო ყოველგვარი დოკუმენტაცია. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში და მისცეს უფლება, მისი სახელით წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი;

4.9. მზღვეველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე არ აიღოს საკუთარ თავზე სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა;

4.10. დაზღვეული ავტომობილი ჰყავდეს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;

4.11. ნებისმიერ დროს უზრუნველყოს მზღვეველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ავტომობილის დათვალიერება;

4.12. ავტოტრანსპორტის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, ჩაკეტოს იგი და, ასევე, ჩართოს სიგნალიზაცია (თუ ასეთით ავტოტრანსპორტი აღჭურვილია);

4.13. დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ.: ავტოტრანსპორტის გასხვისება, დატვირთვა მესამე პირის სასარგებლოდ, სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა-დამატება, ავტომანქანის გასაღების ან სიგნალიზაციის პულტის დაკარგვა, დამზღვევის ფაქტობრივი ან იურიდიული მისამართის ცვლილება, დამზღვევის მობილური ტელეფონის ნომრის ცვლილება და ა.შ.) დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით; წინამდებარე პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან.

4.14. ყველა უფლებამოსილ მძღოლს და მოსარგებლეს გააცნოს დაზღვევის წინამდებარე პირობები;

4.15. მუდამ თან იქონიოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა და არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს იგი ავტოტრანსპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ქურდობის, ძარცვის და/ან ყაჩაღობის შემთხვევებში;

4.16. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია, რომელთა ჩამონათვალი შესაძლოა შეიცვალოს (შემცირდეს ან გაიზარდოს) მზღვეველის მხრიდან ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე:

ა) წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის აღწერითა და ანაზღაურების მოთხოვნით;

ბ) სადაზღვევო პოლისის ასლი;

გ) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი; საგზაო შემთხვევისას ცნობა საპატრულო პოლიციიდან (ცნობა საპატრულო პოლიციიდან მზღვეველის მხრიდან არ მოითხოვება სტიქიური მოვლენებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის დროს და ავტომობილის საქარე მინის დაზიანების შემთხვევაში), კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი და თარიღი, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები; ასევე, საგზაო შემთხვევის სქემა;

დ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი; ორიგინალი კი – ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, ასევე, სრული განადგურების შემთხვევაში;

ე) მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;

ვ) ცნობა მძღოლის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის ფაქტის დადგენის თაობაზე;

ზ) კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა აუცილებელი საბუთი;

თ) თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით, მზღვეველს უნდა წარმოუდგინოს ინფორმაცია ასეთი მესამე პირის შესახებ, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ი) მოსარგებლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები.

4.17 თუ დამზღვევი არასაპატიო მიზეზის გამო გაუშვებს დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადას, რომელიც მითითებულია წინამდებარე პირობების 4.16 პუნქტში, მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;

4.18. წინამდებარე პირობების B და C სექციით/სახეობით გათვალისწინებულ სადაზღვევო დაფარვების ძალაში არსებობის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გარდა ზემოთ მითითებული დოკუმენტაციისა, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველს წარუდგინოს ასევე შემდეგი დოკუმენტები:

ა) შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;

ბ) დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება აქვს (საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვ.);

გ) თუ დამზღვევის/მოსარგებლის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს სხვა პირი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, არის სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;

დ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულსა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით - ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე; ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს, მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

ე) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი.

4.19. არ დაიწყოს დაზიანებული ავტომობილის შეკეთება, სანამ მზღვეველის წარმომადგენელი არ დაათვალიერებს, შეაფასებს და გასცემს მითითებებს ავტომობილის შეკეთების შესახებ;

4.20 შეასრულოს მზღვეველის მითითება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაზიანებული ავტომობილის შემკეთებელ ავტოსერვის ცენტში გადაყვანის თაობაზე, უმოკლეს ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მითითების (ზეპირი ან წერილობითი სახით) მზღვეველის მიერ გაცემიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა;

4.21 იმ შემთხვევაში, თუ განადგურებულ ავტომობილზე საკუთრების უფლება გადაეცემა მზღვეველს, უზრუნველყოს ავტომობილის მფლობელობასთან და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ყველა ადმინისტრაციული ჯარიმის, საურავისა და ხარჯის დაფარვა,

წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ხარჯები გამოაკლდება მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობას;

4.22. უზრუნველყოს ამ პირობების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებაზე (სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტი) ხელმოწერა პირადად/პოლისით გათვალისწინებული მოსარგებლის მიერ, მზღვეველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან და ასანაზღაურებელ თანხაზე შეთანხმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. დამზღვევი უფლებამოსილია:

5.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი.

6. დამზღვევი / მოსარგებლე უფლებამოსილია:

6.1. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

7. სადაზღვევო პოლისი, სადაზღვევო პრემია, სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა

7.1. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობაა დამზღვევის ვალდებულება: შეავსოს სადაზღვევო განაცხადი, წარმოადგინოს მისი და მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა, ასევე წარუდგინოს მზღვეველს ავტომობილი დასათვალიერებლად და მისცეს ფოტოების გადაღების საშუალება. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე, მომზადდება სადაზღვევო პოლისი და წინამდებარე პირობებთან ერთად გადაეცემა დამზღვევს;

7.2. სადაზღვევო პოლისი ძალაში შედის პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის საწყისი თარიღის (დღის) 24:00 სთ-ზე და მოქმედებს მასში მითითებული ვადის ბოლო თარიღის (დღის) 24:00 საათამდე;

7.3. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება ერთჯერადად ან მრავალჯერადად. სადაზღვევო პრემიის გადახდის პერიოდულობა, ვადები და სხვა არსებითი პირობები მიეთითება სადაზღვევო პოლისში;

7.4. შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე, მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან;

7.5. დაზღვეულ ავტომობილთან, პირებთან თუ რისკებთან დაკავშირებით, სადაზღვევო პერიოდში მომხდარი ყველა ცვლილება, უნდა აისახოს შესაბამის სადაზღვევეო პოლისში;

7.6. სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველს შეუძლია დამზღვევს განუსაზღვროს დამატებითი ორკვირიანი ვადა გადახდის შესასრულებლად და ამასთან მიუთითოს იმ შედეგებზე, რომელიც მოყვება ვადის გასვლას. ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება. დამზღვევისათვის მიცემული ორკვირიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ ექვემდებარება;

7.7. სადაზღვევო პოლისში შესაბამისი სადაზღვევო რისკისა და თითოეული დაზღვევის სახეობისათვის/სექციისათვის მოცემულია ცალ-ცალკე სადაზღვევო თანხები და (ქვე)ლიმიტები;

7.8. სადაზღვევო პოლისში დაზღვევის თითოეული სექციისათვის/სახეობისათვის მითითებულია ფრანშიზის შესაბამისი ოდენობა. ფრანშიზა შეიძლება განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის სხვადასხვა მოცულობით.

7.9. თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობა.

8. სადაზღვევო ანაზღაურება

8.1. მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას მხოლოდ მხარეთა შორის ზარალის ოდენობაზე წერილობითი შეთანხმების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.2. მზღვეველი უფლებას იტოვებს, გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის (მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

8.3. დამზღვევის მიერ ნებისმიერი მესამე პირისაგან კომპენსაციის მიღების შემთხვევაში, ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება მიღებული კომპენსაციისა და ფრანშიზის ოდენობებს შორის უდიდესით;

8.4. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, როდესაც ასანაზღაურებელი თანხა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, მზღვეველი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი პოლისისათვის მოსარგებლეს აუნაზღაუროს ზარალი ჯამურ სადაზღვევო თანხაში თავისი წილის პროპორციულად.

9. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის წესი

9.1. დაზღვევის მოქმედება შესაძლოა შეწყდეს ამ მუხლით გათვალისწინებული წესით, დამზღვევის ან მზღვეველის ინიციატივით;

9.2. მზღვეველის მხრიდან გაფრთხილებისა და დამზღვევისათვის დამატებითი ვადის დაწესების გარეშე, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები მთლიანად შესრულებულია;

ბ) თუ დაზღვეული ავტომობილი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებით);

გ) თუ ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებით);

დ) თუ სადაზღვევო რისკის ზრდა დამზღვევის, მისი წარმომადგენლის ან დამზღვევის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

9.3. მზღვეველის მხრიდან დამზღვევისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დამზღვევმა არ შეასრულა წინამდებარე პირობებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულება;

ბ) თუ დამზღვევმა უარი თქვა წინამდებარე პირობების 3.2. პუნქტის შესაბამისად, მზღვეველის მიერ შეთავაზებულ ახალ პირობებზე;

გ) მზღვეველის ინიციატივით, ნებისმიერ დროს.

9.4. დაზღვევა ასევე შეწყდება:

ა) შესაბამისი პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლით;

ბ) თუ მზღვეველი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;

გ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით;

დ) თუ დამზღვევის მიერ დაზღვეული ავტომობილის გასხვისებისას, მზღვეველს არ სურს ავტომობილის ახალ მესაკუთრესთან დაზღვევის ხელშეკრულების გაგრძელება და დამზღვევს ერთი თვით ადრე შეატყობინებს ამის შესახებ;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

9.5. მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება წინამდებარე პირობების მე-11 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

9.6. თუ დამზღვევს სურს დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა, მან ამის თაობაზე უნდა აცნობოს მზღვეველს. ხელშეკრულება შეწყდება, მზღვეველისათვის წერილობითი ფორმით მიმართვიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

9.7 დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტისას:

9.7.1. თუ შეწყვეტამდე ადგილი არ ქონია სადაზღვევო შემთხვევას:

ა) უკან დასაბრუნებელი პრემიის არსებობის შემთხვევაში, დამზღვევს დაუბრუნდება ჯამური პრემიიდან გაუქმების თარიღისთვის გამოუმუშავებელი ნაწილი, 10%-ის გამოკლებით;

ბ) დავალიანების არსებობის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია დავალიანების დაფარვასთან ერთად მზღვეველს გადაუხადოს ჯამური პრემიიდან გაუქმების თარიღისთვის გამოუმუშავებელი პრემიის 10%.

9.7.2. თუ შეწყვეტამდე ადგილი ქონდა სადაზღვევო შემთხვევას და:

ა) ანაზღაურებული თანხა ტოლია ან მეტია პოლისით გათავლისწინებული ჯამური სადაზღვევო პრემიის ოდენობაზე და დამზღვევის მიერ პრემია სრულად არის გადახდილი, გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება; დავალიანების არსებობისას კი, დამზღვევი ვალდებულია პრემია სრულად გადაიხადოს.

ბ) ანაზღაურებული თანხა ნაკლებია პოლისით გათვალისწინებული ჯამური სადაზღვევო პრემიის ოდენობაზე, დამზღვევის მიერ მიღებული (ზარალის ანაზღაურების) თანხის უკან დაბრუნების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია აღარ მოითხოვოს დამზღვევისაგან პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილის გადახდა, ასეთ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ გამომუშავებულ პრემიას დამატებული გამოუმუშავებელი პრემიის 10%.

9.8 თუ სადაზღვევო პოლისი წყდება დაზღვეული ავტომობილის სრული ზარალის/განადგურების გამო, ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება დაზღვევის პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი გადასახდელი პრემიის ოდენობა.

10. რომელ ქვეყნებში ვრცელდება სადაზღვევო დაფარვა?

10.1. იგულისხმება, რომ ამ პირობებში მოყვანილი დაზღვევის ყველა სახეობისათვის/სექციისათვის დაზღვევის ტერიტორია მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა, თუ კონკრეტული სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

10.1.1 კონკრეტული პოლისით შეიძლება დადგინდეს დაფარვის ტერიტორია საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში დაფარვა არ

გავრცელდება წინამდებარე პირობების A6.3 მუხლით გათვალისწინებულ დამატებით მომსახურებაზე. შესაბამისად, დაზღვეული ვალდებული იქნება ნებისმიერი სადაზღვევო შემთხვევის დასადასტურებლად, მზღვეველს წარმოუდგინოს საპატრულო პოლიციის ოქმის ანალოგიური, შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საბუთი.

10.1.2 ამ მუხლის 10.1 პუნქტის მიზნებისთვის, პოლისში მითითებული ყველა ქვეყნის მიმართ (გარდა სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთისა), A1.2 პუნქტში ჩამოთვლილი სადაზღვევო რისკებიდან გავრცელდება მხოლოდ:

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია);

- სტიქიური მოვლენები (გარდა მიწისძვრისა);
- საგნის დაცემა.

10.2. ამ პირობების B და C სექციებისათვის, დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა.

11. შეტყობინებები და კომუნიკაცია

11.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული მიზნებისთვის, საკომუნიკაციო საშუალებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დამზღვევის მიერ სადაზღვევო განაცხადში მითითებული მისამართი ან/და მობილური ტელეფონის ნომერი, რაც გულისხმობს იმას, რომ მზღვეველის მიერ ამ მისამართზე გაგზავნილი წერილი ან მობილურ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება მზღვეველის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად;

11.2. მზღვეველის მხრიდან დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება ამ უკანასკნელის მიერ განაცხადში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე ან მისამართის შეცვლის თაობაზე, ამ პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მზღვეველისათვის გაცხადებულ ბოლო მისამართზე. ასეთ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს გაცხადებული მზღვეველისათვის;

11.3. მზღვეველი უფლებამოსილია, წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით (მათ შორის ამ პირობების მე-9 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიზნებისათვის), დამზღვევს შეტყობინება (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება) გაუგზავნოს მის მიერ სადაზღვევო განაცხადში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომერზე. მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის დღე ჩაითვლება ადრესატისათვის/დამზღვევისათვის შეტყობინების ჩაბარების დღედ.

12. დავათა გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოსათვის მიმართვის გზით;

13. კონფიდენციალობა

13.1. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.2. მზღვეველი უფლებამოსილია, განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები დაამუშოს: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) დამზღვევის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველის ინტერესების დაცვის მიზნით და გ) ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის, მათ შორის ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

13.3. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია, მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშას, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.

14. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის, მასში მოცემული ტერმინები გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობით:

მზღვეველი - სს „თიბისი დაზღვევა“

დამზღვევი - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელთანაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომელიც სადაზღვევო პოლისითა და განაცხადით განსაზღვრულ ავტომობილს აზღვევს მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას.

მოსარგებლე - დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისში დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღებს სადაზღვევო ანაზღაურებას.

უფლებამოსილი მძღოლი - პირი (პირები), რომელიც მითითებულია პოლისში, როგორც უფლებამოსილი მძღოლი. იგი უნდა იყოს არანაკლებ 21 წლის და ჰქონდეს შესაბამისი კატეგორიის ავტომობილის მართვის უფლებამოსილება, მინიჭებული სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაზღვევის ხელშეკრულება - ხელშეკრულება მზღვეველსა და დამზღვევს შორის, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების (დაზღვევის პირობები), შესაბამისი განაცხადისა და მის საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ისგან, თუ დამატებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მაგ.: გენერალური ხელშეკრულება, დანართი).

სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის არსებობას და ასახავს დაზღვევის ხელშეკრულების ძირითად პირობებს. პოლისში დაფიქსირებულ განსაკუთრებულ პირობებსა და წინამდებარე პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პოლისს.

სადაზღვევო განაცხადი - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისთვის აუცილებელი და მზღვეველისათვის საინტერესო მონაცემები/გარემოებები, რომლის საფუძველზეც გაიცემა სადაზღვევო პოლისი.

დაზღვეული ავტომობილი - სადაზღვევო პოლისში მითითებული და დამზღვევის კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტომობილი.

სადაზღვევო პერიოდი - პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია.

სადაზღვევო თანხა - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ჯამური ლიმიტი; მიეთითება პოლისში, თითოეული სახეობისთვის/სექციისათვის ცალ-ცალკე.

საბაზრო ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღეს დაზღვეული ავტომობილის ან მისი რომელიმე ნაწილის მსგავსი მახასიათებლების მქონე ნივთის (ძარის დაზღვევის შემთხვევაში - მეორადი ავტომობილის) ღირებულება საქართველოს ბაზარზე.

აღდგენის ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევით დაზიანებული დაზღვეული ავტომობილის აღსადგენად საჭირო სამუშაოების, აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების საბაზრო ღირებულება.

ფრანშიზა - პოლისში მითითებული თანხის ოდენობა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელ თანხას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

დაზღვევის ტერიტორია - სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დაზღვევა.

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეული რისკებით გამოწვეული მოვლენა, რომლის დადგომისას წინამდებარე პირობები ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას, რომელიც დასტურდება შესაბამისი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტით.

სრული განადგურება/სრული ზარალი - ავტომობილის დაზიანება, როდესაც დაზიანებული ავტომობილის აღდგენის ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70%-ზე მეტია ან ავტომობილის ქურდობით/ძარცვით/ყაჩაღობით გამოწვეული ზარალი.

სადაზღვევო პრემია - დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო შესატანი/დაზღვევის ღირებულება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია პოლისში.

გამოუმუშავებული პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მოსარგებლის, დაზარალებულის ან მისი მემკვიდრის სახელზე.

მესამე პირი - ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას მიადგა ზიანი დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ დამზღვევის/ მოსარგებლის /ავტომობილის მესაკუთრის, დაზღვეული ავტომობილის მძღოლის და მგზავრების, მათი თანამშრომლების ან ოჯახის წევრებისა.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია) **-** განიმარტება საქართველოს კანონით „საგზაო მოძრაობის შესახებ" - გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება.